უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №14

ქ. თბილისი

14.09.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
დავით ბედოშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გიორგი ისაკაძე - ა(ა)იპ - ბიზნესმედია საქართველოს დამფუძნებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
მარიამ ღამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

გიორგი მარგველაშვილი - რექტორი;
ანა სამსონაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რუსუდან თევზაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
თამარ ვეფხვაძე - კონსულტანტი უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხებში;
ნატო გენგიური - სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზნრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
თამილა ქამუშაძე - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ირინა დვალი - საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი;
ირინა თევდირაძე - საორგანიზაციო სამსახურის ხელმძღვანელი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):
ნანა მჟავანაძე;
დავით საყვარელიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:15 სთ-ზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნუგზარ სხირტლაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილ არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ენტონი დინმა და ადგილობრივმა ექსპერტმა - ირინა დარჩიამ. ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ადგილობრივი ექსპერტები - ნანა მჟავანაძე და დავით საყვარელიძე. ექსპერტთა ჯგუფმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ჯგუფი იძლეოდა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა თავისი სტრატეგიული მიზნების მიღწევაში პროგრესის მონიტორინგის სიზუსტისათვის, მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს ფორმალური მონიტორინგის პროცესები მისი თითოეული ძირითადი საქმიანობის (და სხვა ძირითადი სტრატეგიული პოლიტიკის) ხელახლა გამოხატვის მეშვეობით, რათა მოიცვას უფრო გამჭვირვალე კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, გონივრული და დროში გაწერილი (სხვა სიტყვებით SMART) სამიზნე ნიშნულების ერთიანობა, ასოცირებულ წლიური შესრულების ძირითად მაჩვენებლებთან (KPI) ერთად.
- ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, მისიისა და ხედვის შესასრულებლად უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს თავისი კვლევისა და საგამომცემლო საქმიანობის ხარისხი, რათა უზრუნველყოს სრული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.
- რეკომენდაციის თანახმად, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ყველა მის პროგრამაში (საჭიროების შემთხვევაში) ფორმალური კომპონენტის არსებობა, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას მათი პროგრამის გარკვეულ ეტაპზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციფიკური საკითხების თაობაზე, ასევე, აწვდის ინფორმაციას უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკას შესახებ მათი პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების ფარგლებში და (საჭიროების შემთხვევაში) პროფესიული დასაქმების არჩეული სფეროების გათვალისწინებით.
- ჯგუფი იძლეოდა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტი შეეცადოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სასწავლო კორპუსის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას. საჭირო იყო იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ადგილი, სადაც სტუდენტებს ესაჭიროებათ მისვლა, სათანადოდ იყოს მოდიფიცირებული. ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს

საკითხები უნდა მოგვარდეს რაც შეიძლება სწრაფად, თუმცა აქვე აღიარებს უნივერსიტეტის შეზღუდულ ფინანსურ რესურსებს, რომლის ფარგლებშიც უწევს უნივერსიტეტს ოპერირება.

- ჯგუფის რეკომენდაციით უნივერსიტეტმა თავისი ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში მნიშვნელოვნად მეტი შინაარსი უნდა ჩადოს, კერძოდ, უნივერსიტეტის აკადემიური შეთავაზებების კუთხით, რათა უნივერსიტეტმა უკეთ შეძლოს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების ზოგადი შეფასებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას სწორად ჰქონდა განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და მათი მიღწევის გზები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მისია იყო ამბიციური, მისი მიღწევა რეალისტური და ეროვნულ ღირებულებებთან იყო თავსებადი. ამასთანავე, აღინიშნა, რომ საუნივერსიტეტო პროცესში და დაწესებულების განვითარების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები სტუდენტები და დამსაქმებლები.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა დაწესებულების კვლევითი აქტივობით. ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ირინა დარჩიას განცხადებით, რომელიც ასევე, Skype-ის მეშვეობით ჩაერთო საბჭოს სხდომაზე, დაწესებულებაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა, როგორც კვლევით, ასევე შემოქმედებით საქმიანობას. თუმცა, კვლევითი მიმართულებით დაწესებულებამ უნდა იზრუნოს მისი კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე, საერთაშორისო აღიარების მოპოვებაზე და განვითარებაზე, შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ მისიისა და ხედვის შესასრულებლად უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი კვლევისა და საგამომცემლო საქმიანობის ხარისხი, რაც უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სწორად იყო დანახული დაწესებულების სრული საზოგადოების ჩართულობა თვითშეფასების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ამასთანავე, დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა რეკომენდაციას შეფასების ინდიკატორების მექანიზმების დაზუსტებასა და განვითარებასთან მიმართებით და ადასტურებდა, რომ ამ მიმართულებით დაწყებული იყო სამუშაოები. კერძოდ, დაწესებულება მუშაობდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ანგარიშის კონკრეტულ ფორმებზე, რომელშიც ასახული იქნებოდა აქტივობების შესრულების, ნაწილობრივ შესრულების, პროცესის მიმდინარეობისა და ვერ შესრულებული აქტივობის ჩამონათვალი. ამასთანავე, ყოველწლიურად დეტალური ინფორმაცია თითოეულ აქტივობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნებოდა სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, რომელიც გულისხმობდა უნივერსიტეტის მხრიდან ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში (საჭიროების შემთხვევაში) ფორმალური კომპონენტის არსებობას, რომელიც სტუდენტებს მიაწვდიდა

ინფორმაციას მათი პროგრამის გარკვეულ ეტაპზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციფიკური საკითხების თაობაზე.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, სასწავლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებს უწევდათ ისეთი აქტივობები (მაგალითად, ცეკვა, ფარიკაობა) შესრულება, რომელიც, შესაძლოა, ტრავმის გამომწვევი მიზეზი ყოფილიყო. შესაბამისად, დაწესებულება მზად იყო სტუდენტთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა აღნიშნული საკითხის შესახებ ფორმალური კომპონენტის არსებობას, მაგალითად, შემუშავებულიყო გზამკვლევი, რომელიც სტუდენტებს მიაწვდიდა ინფორმაციას მათი პროგრამის გარკვეულ ეტაპზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციფიკური საკითხების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებული იყო დაწესებულების მხრიდან და აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებული და ატვირთული იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საბჭოს წევრი, რამაზ საყვარელიძე, დაინტერესდა, რამდენად ეთანხმებოდა და იზიარებდა დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, დაწესებულება სრულად იზიარებდა და ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რიგი რეკომენდაციები და რჩევები დაწესებულების მხრიდან უკვე გათვალისწინებული იყო.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულებაში არსებული პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით. უნივერსიტეტს ამჟამად არა ჰქონდა ფინანსური რესურსები აღნიშნული პროგრამის შესასყიდად, თუმცა, იგი სტრატეგიული გეგმით იყო გათვალისწინებული და დაფინანსების მიმართულებით დაწესებულება აწარმოებდა აქტიურ მოლაპარაკებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი იცავდა აკადემიური თავისუფლების პრინციპებს და ეს ვალდებულება მეორდებოდა რიგ ინსტიტუციურ დოკუმენტში, როგორებიცაა, ინსტიტუციური ეთიკის კოდექსი, წერითი ნამუშევრის სტანდარტები და სტუდენტთა თვითმმართველობის ამოცანები.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების საკითხით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება სასწავლო პროცესში, შესაბამისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მუდმივად იყენებდა ტექნოლოგიებს, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილი 600 000-ლარიანი გრანტი ტელე-სტუდიის მოსაწყობად. რაც შეეხება კინო მიმართულებას, აღსანიშნავია, რომ იმ ბაზით, რომელიც ამჟამად დაწესებულებას ჰქონდა, ყოველწლიურად უმჯობესდებოდა ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალებზე სტუდენტთა მიერ წარდგენილი ფილმების ხარისხი და ხაზგასასმელი იყო ისიც, რომ სტუდენტთა ფილმები მუდმივად იკავებდა საპრიზო ადგილებს. რაც შეეხებოდა დრამის მიმართულებას, დაწესებულებაში 2 სცენა ყველა შესაბამისი ტექნიკით იყო აღჭურვილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების რექტორის განცხადებით, არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში სრულად უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას.

მე-6 სტანდარტთან მიმართებით - კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო უნივერსიტეტის მისია, რომელიც ხაზს უსვამდა მის, როგორც შემოქმედებითი წინსვლის, ხელოვნების მეცნიერებებში და მისი საგნობრივი სფეროების კვლევის გენერატორის მოწინავე როლს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, როგორც პრაქტიკული ექსპერიმენტის, ისე თეორიული კვლევის მიმართულების ხელშეწყობაზე შემოქმედებითი პრაქტიკისაკენ. დაწესებულების რექტორის განცხადებით, დაწესებულებაში წარმოდგენილი იყო, როგორც შემოქმედებითი საქმიანობა, ასევე ტრადიციული კვლევა. ეს ყველაფერი განსხვავდებოდა ფაკულტეტების და შესაბამისად, ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, დრამისა და კინოსა და ტელევიზიის ფაკულტეტების ძირითადი მიმართულება იყო მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობა, მაშინ, როდესაც ხელოვნების მეცნიერების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი ფოკუსირებული იყო ძირითადად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე.

რაც შეეხებოდა, საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას, რექტორმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მიმართულებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა დაწესებულებაში. კერძოდ, „თიბისი" ბანკის დაფინანსებით უახლოეს მომავალში მოეწყობოდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტამბა, რაც, მათი მოსაზრებით, მნიშვნელოვნად განავითარებდა დაწესებულების საგამომცემლო მიმართულებას.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი, დაინტერესდა სტუდენტთა მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის სიხშირით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, სტუდენტების მხრიდან საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენება იყო ხშირი, თუმცა, სასურველი იყო, რომ უფრო ინტენსიური ყოფილიყო. საბიბლიოთეკო რესურსთან მიმართებით, საბჭოს წევრის, ირაკლი ღარიბაშვილის, განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი დაწესებულების თვითშეფასებაში, ვებ-გვერდსა და სხდომის დროს მოწოდებულ დოკუმენტში სრულიად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. შესაბამისად, რთულად დასადგენი იყო, თუ რომელ მონაცემთა ბაზებზე ჰქონდა დაწესებულებას წვდომა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულებაში სსსმ პირებისთვის სივრცის ადაპტირების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული მიმართულებით დაწესებულების უზრუნველყოფა მისი მთავარი პრიორიტეტი იყო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2017-2018 წლებში საქართველოს სპორტისა და კულტურის ყოფილი სამინისტროს დაფინანსებით დაწესებულების პირველი კორპუსი სრულად ადაპტირდა სსსმ პირებისთვის. რაც შეეხება დაწესებულების მეორე კორპუსს, იგი, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერჯერობით სრულად არ იყო ადაპტირებული. თუმცა, პანდუსებით იყო უზრუნველყოფილი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული მიმართულებით დაწესებულება თანამშრომლობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და იმედოვნებდა, რომ მეორე კორპუსის სრული ადაპტაცია არ გასცდებოდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის 2017-2024 წლების საანგარიშო პერიოდს.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:00 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:20 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს, საავტორიზაციო წარმოდგენილი საავტორიზაციო მასალების, მათ შორის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ გამოთქმული შეფასებების საფუძველზე მიიჩნია, რომ ავტორიზაციის მე-7 სტანდარტის 7.2 კომპონენტი - საბიბლიოთეკო რესურსები მიზანშეწონილი იყო შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ნაცვლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საბჭოს აღნიშნული შეფასება ეყრდნობოდა უნივერსიტეტის ელექტრონული კატალოგსა და საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის

პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 700-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:30 საათზე.

თავმჯდომარე
ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი
მაკა გველესიანი